



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

ინფორმაციული ტექნოლოგიები
ბაკალავრიატი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი - 23/01/2023

დასკვნის წარდგენის თარიღი
10/01/2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	10
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	22
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	29
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	32
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	40
• მტკიცებულებები/ინდიკატორები.....	41

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი Caucasus International University შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201951637
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანი არაბული, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ რუხაია, სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ზანგალაძე, დირექტორი, კომპანია იდეა დიზაინ ჯგუფი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა კობახიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ავსაჯანიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ინფორმაციული ტექნოლოგიები
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Information Technologies
უმაღლესი განათლების საფეხური	I (ბაკალავრიატი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი Bachelor of Information Technologies
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება Database and Network Design and Administration
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი ახალი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ ხორციელდება ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე.

პროგრამის განხორციელების ენა არის ქართული. საბაკალავრო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - **ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი (0612)**. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს (1 კრედიტი 25 საათი). პროგრამის სტრუქტურა შედგება სავალდებულო, არჩევითი და თავისუფალი სასწავლო კომპონენტებისგან.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 23 იანვარს. 21 იანვარს განხორციელდა წინა მოსამზადებელი შეხვედრა, სადაც ექსპერტების მხრიდან მოხდა პროგრამასთან დაკავშირებული საკითხების შეჯერება.

2023 წლის 23 იანვარს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან. განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

ვიზიტის დასასრულს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- 1.1. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 1.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 1.3. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 1.4. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 1.5. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- 2.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 2.2. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

2.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.5. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

▪ **რეკომენდაციები**

- წარმოდგენილი პროგრამის პირველ მიზანში გამოიკვეთოს, თუ რომელი სპეციალობის კურსდამთავრებულების მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს და დაზუსტდეს პროგრამის კურიკულუმის რუკა.
- რეკომენდირებულია პროგრამაში გაიწეროს საბაკალავრო ნაშრომისთვის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა;
- რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „ადამიანურ-კომპიუტერული ინტერაქციები“ გადავიდეს ძირითად საგანთა ნუსხაში.
- რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „ICT წიგნიერება“ გადავიდეს არჩევით ბლოკში.
- რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „ოპერაციული სისტემები“ გადავიდეს მესამე სემესტრში და წინაპირობად განესაზღვროს „კომპიუტერის არქიტექტურა“.
- რეკომენდირებულია სასწავლო კურსს „კომპიუტერული ქსელები“ წინაპირობად განესაზღვროს „კომპიუტერის არქიტექტურა“.
- რეკომენდირებულია „ვებ დიზაინის გრაფიკული საფუძვლები“ წინ უსწრებდეს „WEB აპლიკაციების დაპროგრამების“ სასწავლო კურსს.
- რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „Back-End დეველოპმენტი (PHP)“ გადავიდეს სავალდებულო საგანთა ნუსხაში.
- რეკომენდირებულია არჩევითი საგნად დაემატოს NoSQL ბაზის სასწავლო კურსი, ან რომელიმე არსებულ რელევანტურ კურსში მოხდეს საკითხების ჩამატება.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „ვებ დიზაინის გრაფიკული საფუძვლები“ შინაარსში დაემატოს ვებდიზაინის შესრულებისთვის დღესდღეობით პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გამოყენებული ინსტრუმენტის განხილვა (მაგალითად, Figma)
- სასწავლო კურსებში: „IT პროექტების მართვა“, „ჰიბრიდული მობილური აპლიკაციების დეველოპმენტი“ ჯგუფურ პროექტში ინდივიდუალურად შეფასების კრიტერიუმები გახდეს მეტად გამჭვირვალე;

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, პროგრამის პერსონალი დაწვრილებით გაეცნოს სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებით როგორც საუნივერსიტეტო მიდგომებსა და ძირითად სამოქმედო პრინციპებს, ისე საკუთრივ პროგრამისთვის შემუშავებულ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს.
- სასურველია სასწავლო კურსების „პრაქტიკა“ და „საბაკალავრო ნაშრომი“ წინაპირობაში გაიწეროს კრედიტების რაოდენობა;
- სასურველია პროგრამის განხორციელების და შეფასების შემდგომ გადაიხედოს სამიზნე ნიშნულები და გადახრის მაჩვენებელი.
- სასურველია შეიქმნას ცალკე სილაბუსი საბაკალავრო ნაშრომის სასწავლო კურსისთვის.
- სასურველია პროგრამაში არჩევით ბლოკში დაემატოს დრუბლოვანი ტექნოლოგიების სასწავლო კურსი
- სასურველია სასწავლო კურსების: „კომპიუტერული ქსელები“, „კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება“ და „კომპიუტერულ-საკომუნიკაციო ქსელების ორგანიზება“ სასწავლო კვირების შინაარსი არ იყოს იდენტური სხვა უნივერსიტეტის ამავე სახელწოდების სილაბუსების.
- სასურველია უნივერსიტეტმა გააღრმავოს მუშაობა პრაქტიკის ობიექტებთან თანამშრომლობის კუთხით.
- პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საქართველოში საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულების ახალი აკადემიური პერსონალის მოზიდვა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისათვის.

აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის რეზიუმეებიდან იკვეთება, რომ ბევრი მათგანი სხვა 3 ან მეტ უმაღლეს დაწესებულებებში იკავებს აკადემიური თანამდებობებს და უძღვება 2 ან მეტ კურსს, თუმცა ეს შეიძლება ბუნებრივიც იყოს, ვინაიდან პროგრამა ახალია. სამომავლოდ პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად სასურველია პერსონალის დაინტერესება იმგვარად, რომ იმ პროფესორებმა მაინც, ვინც ამ პროგრამაში 3 ან მეტ დარგობრივ კურსს გაუძღვება, სხვა უსდ-ებში შეამცირონ დატვირთვები შეძლებისდაგვარად.

ამასთან მიმართებაში ასევე სასურველია პროგრამის აკრედიტაციის პროცესში გარკვეული ვადის შემდეგ გადამოწმდეს რამდენად უზრუნველყოფს აკადემიური/მოწვეული პერსონალი გაუწიონ მომსახურება სტუდენტების მზარდ რაოდენობას.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵
- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, უსდ-მ წარმოადგინა არგუმენტირებული პასუხი რეკომენდაციებთან დაკავშირებით. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო წარმოდგენილ არგუმენტაციას და იმსჯელა დასკვნის პროექტში ცვლილებების შეტანის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, უსდ ეთანხმება რეკომენდაციების დიდ ნაწილს და არ ეთანხმება ზოგიერთ რეკომენდაციას. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ერთობლივი გადაწყვეტილებით, მოხდა წარმოდგენილი არგუმენტაციის გათვალისწინება ერთ რეკომენდაციასთან მიმართებაში (1.4 ქვესტანდარტი). ექსპერტებმა განვახორციელეთ ამ რეკომენდაციის რეფორმულირება რის შედეგადაც იგი გადავიდა რჩევაში.

უსდ-მ არ გაიზიარა რეკომენდაცია „რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „ICT წიგნიერება“ გადავიდეს არჩევით ბლოკში“. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტებმა არ გაიზიარეს უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია. ვთვლით, რომ აღნიშნული საგანი, რომლის შინაარსი შეტანილია ეროვნულ სასწავლო გეგმაში და ისწავლება ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში არ არის რეკომენდირებული ამ შინაარსით და ასეთი დიდი კრედიტებით წარმოდგენილი იყოს „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო საგნებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ს არ წარმოუდგენია არანაირი დოკუმენტი იმის დასამტკიცებლად, რომ როგორც თვითონ ამბობს - „...პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საოფისე პროგრამების კუთხით სკოლაში მიღებული ცოდნა და გამოიმუშავებული უნარები არასაკმარისია იმისთვის, რომ სტუდენტმა სრულყოფილად შეძლოს პრეზენტაციების და დოკუმენტების აკადემიური წერის პრინციპების დაცვით მომზადება.“ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების მხრივ გასული ორი წლის განმავლობაში არსებულმა პანდემიურმა გარემომ მკვეთრად აამაღლა კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან მუშაობის გამოცდილება და უნარები.

უსდ-მ არ გაიზიარა რეკომენდაცია - „რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „ადამიანურ-კომპიუტერული ინტერაქციები“ გადავიდეს ძირითად საგანთა ნუსხაში“. ექსპერტები ეთანხმებიან უსდ-ს პოზიციას, რომ გარკვეული საკითხები შეტანილია სასწავლო კურსებში: „ვებ დიზაინის გრაფიკული საფუძვლები“; „Web აპლიკაციების დაპროგრამება“; „ჰიბრიდული მობილური აპლიკაციების დეველოპმენტი“ თუმცა ამ სილაბუსებში არსებული თემატიკა სრულად ვერ ფარავს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (ICTs) უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში დადგენილ შედეგებს. ამიტომ ექსპერტების მხრიდან არ მოხდა არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება.

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა ახალია

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ (შემდგომში - პროგრამა) მიზნებში ნათლად არის ასახული პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათი და რეალისტურად არის ჩამოყალიბებული თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. კერძოდ, პროგრამის მიზნებში ასახულია ზოგადი დარგობრივი ცოდნა (კომპიუტერულ სისტემებში და ქსელებში, Web, მედია და მობილური აპლიკაციების პროგრამულ უზრუნველყოფაში, ინფორმაციულ უსაფრთხოებაში, მონაცემთა ბაზების შექმნასა და ადმინისტრირებაში და სხვა), უნარები და კომპეტენციები, რომლებიც შესატყვისია პროგრამის სტრუქტურასთან და სწავლების საფეხურთან.

პროგრამის სტრუქტურისა და სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსის გათვალისწინებით, პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადი გახდება პროგრამის სტრუქტურაში გარკვეული ცვლილებების შეტანის შემდგომ (საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის შესახებ რეკომენდაციები და რჩევები გაცემულია 1.4. ქვესტანდარტში).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტებს გვაქვს რეკომენდაცია პირველ მიზანთან დაკავშირებით, რომელიც ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად „მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ თანამედროვე სამყაროს გამოწვევების შესაბამისი თეორიული, პრაქტიკული და ანალიტიკური ცოდნა, რითაც ისინი შეძლებენ ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე წარმატებულ საქმიანობას.“. აღნიშნული მიზანი არის ძალიან ზოგადი და ეხმაურება ნებისმიერ პროგრამას, ამიტომ რეკომენდირებულია მიზანში დაემატოს ტექსტი „ინფორმაციული ტექნოლოგიები“.

უსდ-ის მიერ წარმოდგენილია დასაქმების ბაზრის კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში მოქმედ საწარმო-ორგანიზაციებში ინფორმაციული ტექნოლოგიების კვალიფიკაციის (მონაცემთა ბაზების, ვებ ტექნოლოგიების, საინფორმაციო უსაფრთხოების, ქსელის ადმინისტრირების, IT პროექტების მართვის, მობილური აპლიკაციების დეველოპმენტის) მქონე პერსონალის საჭიროების კვლევას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების პროცესში დადასტურდა დამსაქმებლების რეალური ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში.

წარმოდგენილი პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ის მიზნებს. უსდ-ის ვებგვერდზე განთავსებულია დეტალური ინფორმაცია უსდ-ში მოქმედი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შესახებ. წარმოდგენილი ახალი პროგრამა ასევე განთავსდება უსდ ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის კურიკულუმისა და პროგრამასთან დაკავშირებული სხვა აუცილებელი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული მხარისთვის. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის საკითხებს და ორიენტირებულია როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებზე.

პროგრამა შემუშავებულია უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მსგავსი პროგრამების ანალიზის საფუძველზე. პროგრამაში ჩართული პირები იცნობენ პროგრამას და პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. უსდ-ის თვითშეფასების ანგარიში გვთავაზობს თვითშეფასების ჯგუფის საქმიანობის დეტალურ მიმოხილვას. თვითშეფასების ჯგუფის წევრების აქტიური ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების შემუშავების პროცესში დასტურდება ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- უსდ-ის თვითშეფასების ანგარიში
- უსდ-ის მისია <https://ciu.edu.ge/>
- დასაქმების ბაზრის კვლევის ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- დოკუმენტი „IT პროგრამის ანალოგები“

რეკომენდაციები:

- წარმოდგენილი პროგრამის პირველ მიზანში გამოიკვეთოს, თუ რომელი სპეციალობის კურსდამთავრებულების მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები გაწერილია დეტალურად და შეესაბამება პროგრამის მიზნებს. კერძოდ, პროგრამის შედეგებში ასახულია დარგობრივი ცოდნა (ალგორითმები, კომპიუტერული პროგრამირება, გამოყენებითი პროგრამები, აპარატურა/ტექნიკა და მოწყობილობები, ინტერფეისები „ადამიანი-კომპიუტერი“, ინფორმაციული სისტემები, ინფორმაციის მართვა, ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსების დაგეგმვა, ქსელები და კომუნიკაცია), უნარები და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. პროგრამის შედეგები შეესაბამება სწავლების საფეხურს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის მიზნების, სტრუქტურისა და შინაარსის გათვალისწინებით, პროგრამის შედეგები მიღწევადი და რეალისტურია. პროგრამის შედეგები ჩამოყალიბებულია დეტალურად და ნათლად, რაც ხელს შეუწყობს შედეგების გაზომვადობას.

პროგრამის შედეგები შეესაბამება სფეროს სპეციფიკას და ორიენტირებულია ინფორმაციულ ტექნოლოგიების მიმართულებით დასაქმების ბაზრის მოთხოვნებზე. კერძოდ, მასში აქცენტი კეთდება როგორც თეორიულ ცოდნაზე ასევე პრაქტიკულ უნარებზე, რაც დიდი ალბათობით უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების მაღალ მაჩვენებელს. პროგრამის შედეგები იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

პროგრამის შედეგების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა დასტურდება ჩატარებული ინტერვიუებით, თვითშეფასების ჯგუფის მუშაობა აღწერილია უსდ-ის თვითშეფასების ანგარიშში. პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან და მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება უსდ-ში დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობის მექანიზმების არსებობა. აღნიშნული მექანიზმები გაწერილია უსდ-ის მარეგულირებელ დოკუმენტებში, რომლებიც განთავსებულია უსდ-ის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამის რუკა
- უსდ-ის თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- უსდ-ის ვებგვერდი <https://ciu.edu.ge/>

რეკომენდაციები:

აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ში პროგრამისა და მისი სწავლის შედეგების შეფასების საკითხს არეგულირებს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და დამტკიცების წესი“ და ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დოკუმენტები. აღნიშნული რეგულაციების თანახმად, პროგრამისა და მისი სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება შეფასების როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. არაპირდაპირი შეფასებისას ხორციელდება დამსაქმებლების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების და სტუდენტების გამოკითხვა დადგენილი ფორმების შესაბამისად, ასევე განხორციელდება კურიკულუმის ანალიზი და სხვა. პირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შემოწმება განხორციელდება ყოველ სემესტრულად. აღნიშნული შეფასებები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ვინაიდან სააკრედიტაციო წარმოდგენილი პროგრამა ახალია, მისი სწავლის შედეგების შეფასება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება წარმოადგენს უკვე დანერგილ პრაქტიკას დაწესებულებაში და მოიცავს როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შეფასებასა და მონიტორინგს. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი ფასდება პროგრამის დასასრულს იმ სასწავლო კურსში, რომლითაც ხდება სწავლის შედეგის განმტკიცება (დონე 3). თითოეული სწავლის შედეგისთვის განისაზღვრება სამიზნე ნიშნული, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები თითოეულ სწავლის შედეგს. სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით პირდაპირი და არაპირდაპირი

შეფასების მეთოდებით. პირდაპირი შეფასების მეთოდში მოიაზრება სტუდენტის შეფასების კომპონენტი, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა შეფასების ფორმით შესაბამისი სილაბუსების მიხედვით, რა დროსაც გამოიყენება ის კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში უზრუნველყოფილია გარე დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებელი, კურსდამთავრებულები, გარე შემფასებლები და სხვ.) ჩართულობითაც არაპირდაპირი შეფასების მეთოდებით (მაგ., გამოკითხვებით, დაინტერესებულ პირთა მოსაზრებების ანალიზით, სტუდენტთა თვითშეფასებით და ა.შ.). პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებების, სამიზნე ნიშნულებისა და რეალური შედეგების ანალიზი წარმოადგენს პროგრამაში ცვლილებების შეტანის საფუძველს. პროგრამის შედეგები მიღწეულად ჩაითვლება დადგენილი სამიზნე ნიშნულების მიღწევის შემთხვევაში. წარმოდგენილი პროგრამის სამიზნე ნიშნულის გადახრად განსაზღვრულია 20%, რაც მიგვაჩნია, რომ ძალიან ბევრია. ასევე კითხვები ჩნდება იმასთან დაკავშირებით, რომ პროგრამა აგრეთვე გადაიხედება იმ შემთხვევაშიც თუ სტუდენტთა 35%-ზე მეტი მიიღებს (F) ჩაიჭრა/არადაამაკმაყოფილებელ შეფასებას. მიგვაჩნია, რომ ეს პროცენტიც ბევრია და ნაკლების შემთხვევაშიც უნდა განხორციელდეს პროგრამის/სასწავლო კურსის გადახედვა. სასურველია აღნიშნული საკითხი პროგრამის განხორციელების და დაკვირვების შემდგომ გადაიხედოს.

საკრედიტაციო წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდით შეფასების მიზნით შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების დოკუმენტი, სადაც მოცემულია კურიკულუმის რუკა, თითოეულ სწავლის შედეგზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსი შესაბამისი დონეების (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება), სამიზნე ნიშნულების, შესაფასებელი პრაქტიკული და თეორიული აქტივობების მითითებით. დოკუმენტის მიხედვით, სწავლის შედეგების შეფასება ხდება იმ სავალდებულო სასწავლო კურსებით, რომლებიც კურიკულუმის რუკის მიხედვით განმტკიცების დონეზე გადიან. წარმოდგენილი პროგრამის კურიკულუმი და მისგან გამომდინარე კურიკულუმის რუკა საჭიროებს დაზუსტებას.

სახელდობრ, პროგრამის 11 სწავლის შედეგზე განმტკიცების დონეზე გადის მხოლოდ 9 სავალდებულო სასწავლო კურსი მათ შორის პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი. მაგ. სასწავლო კურსი „კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება“, „კომპიუტერული ქსელები“ სილაბუსიდან არ იკვეთება თუ როგორ ხდება მათე სწავლის შედეგის მიღწევა; „მონაცემთა ბაზების დაპროექტება და აგება“ თავისი შინაარსით გადის პროგრამის მეშვიდე შედეგზე, რაც არ არის მითითებული; „WEB აპლიკაციების დაპროგრამება“ რომელშიც ისწავლება ვებ გვერდების საწყისი (ბაზისური) პროგრამირება და ამ მიმართულებით პირველი სასწავლო

კურსი კურიკულუმის მიხედვით. ამის გათვალისწინებით და ასევე კურსის შინაარსიდან გამომდინარე ვერ განხორციელდება გაღრმავების დონეზე გასვლა; „ვებზე დაფუძნებული მედია ტექნოლოგიები“ თავისი შინაარსით უნდა გადიოდეს მეექვსე დონეზე და სხვა. პროგრამის სტრუქტურის შესწავლისას გამოიკვეთა მისი მოდიფიცირების საჭიროების საკითხი (რაც დეტალურად აღწერილია 1.4 პუნქტში), რაც გარკვეულწილად გამოიწვევს პროგრამის კურიკულუმის რუკის ცვლილებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **რეკომენდებულია**, გადაიხედოს და დაზუსტდეს პროგრამის კურიკულუმის რუკა.

როგორც აღვნიშნეთ, დაწესებულებაში დანერგილია პროგრამის სწავლის შედეგების არაპირდაპირი მეთოდებით შეფასების პრაქტიკაც. ამ მიზნით შემუშავებულია შესაბამისი გამოკითხვის ფორმები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის პერსონალთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმეტესი ნაწილი კარგად იცნობს პროგრამის/სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებსა და მექანიზმებს. გამონაკლისია მხოლოდ ახალგაზრდა ორი აკადემიური პერსონალი. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ახალია, მისი განხორციელებისა და შეფასების პრაქტიკა პერსონალს ჯერ არ გააჩნია, სამომავლოდ სასურველია, პროგრამის პერსონალი დაწვრილებით გაეცნოს სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებით როგორც საუნივერსიტეტო მიდგომებსა და ძირითად სამოქმედო პრინციპებს, ისე საკუთრივ პროგრამისთვის შემუშავებულ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს.

დამსაქმებლებთან ინტერვიუს ჩატარების პროცესში გამოიკვეთა, რომ ისინი დეტალურად იცნობდნენ პროგრამის როგორც შინაარსობრივ მხარეს ასევე მიზნებსა და შედეგებს. ასევე ჩართულნი იყვნენ კურსების შემუშავებაში. მათი რჩევით პროგრამაში დაემატა Php პროგრამირების ენა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- უსდ-ის თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის რუკები
- გამოკითხვის ფორმები
- „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და დამტკიცების წესი“
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, გადაიხედოს და დაზუსტდეს პროგრამის კურიკულუმის რუკა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პროგრამის პერსონალი დაწვრილებით გაეცნოს სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებით როგორც საუნივერსიტეტო მიდგომებსა და ძირითად სამოქმედო პრინციპებს, ისე საკუთრივ პროგრამისთვის შემუშავებულ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს.

სასურველია პროგრამის განხორციელების და შეფასების შემდგომ გადაიხედოს სამიზნე ნიშნულების გადახრის მაჩვენებელი.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ში შემუშავებული დოკუმენტი „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და დამტკიცების წესი“ დეტალურად მიმოიხილავს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, მოდიფიცირების, გაუქმების, შეფასების და სხვ. პროცედურებს. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით. პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა დადასტურდა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით. განსაკუთრებით მისასალმებელია დამსაქმებლის ინტერესი და აქტიურობა პროგრამის დაგეგმვის პროცესში.

პროგრამა აკმატებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამა 240 (ან 245) კრედიტიანია, ყველა სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა შეესაბამება სასწავლო კურსის სპეციფიკას, პროგრამის სტრუქტურა შედგება:

სავალდებულო კომპონენტები: 169 / 174 კრედიტი, მათ შორის:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – **19 / 24 კრედიტი;**
- საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – **21 კრედიტი;**
- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები – **129 კრედიტი;**

არჩევითი კომპონენტები: 71 კრედიტი, მათ შორის

- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – **10 კრედიტი;**
- საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – **8 კრედიტი;**
- სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები – **33 კრედიტი;**
- თავისუფალი კომპონენტები - **20 კრედიტი**

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სტუდენტები, რომლებსაც ინგლისურში ეროვნული გამოცდა არ ექნებათ ჩაბარებული, პროგრამაში გათვალისწინებულია სამ სემესტრიანი ინგლისური ენის კურსი და შესაბამისად ასეთ სტუდენტებს მოუწევთ 245 კრედიტის გავლა პროგრამის ასათვისებლად.

პროგრამაში ძირითად სასწავლო კურსად ასევე შემოთავაზებულია პრაქტიკა რომელსაც ეთმობა 10 კრედიტი და ასევე საბაკალავრო ნაშრომი რომელიც ასევე 10 კრედიტია, თუმცა როგორცაა გადანიშნული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების შეფარდება საბაკალავრო ნაშრომისთვის არ არის არსად მითითებული. აღნიშნული სასწავლო კურსისთვის არ არსებობს სილაბუსი. საბაკალავრო ნაშრომის მიზნები და შედეგები დეტალურად გაწერილია თავად პროგრამაში. უსდ-ს შემუშავებული აქვს დოკუმენტი „საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესი“, სადაც დეტალურადაა გაწერილი, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ნაშრომის არჩევა, გაფორმება, დაცვა და სხვა. აქვე მისასალმებელია, რომ ნაშრომს აუცილებლად ენიშნება რეცენზენტი და მის მიერ თემის შეფასება ხორციელდება 40 ქულით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანების მიხედვით: „სასწავლო კომპონენტი – საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოადგენილია სასწავლო კურსის/საგნის, პრაქტიკის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პრაქტიკული სახის პროექტის/ნაშრომის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ან სხვა კომპონენტის სახით“. შესაბამისად, საბაკალავრო ნაშრომიც წარმოადგენს სასწავლო კომპონენტს (10 კრედიტით) და კომპონენტის შესაბამისი კრედიტი უნდა მოიცავდეს „კონკრეტული კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგებისთვის საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს“. **რეკომენდირებულია** პროგრამაში გაიწეროს საბაკალავრო ნაშრომისთვის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა. პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები უმეტესად არის თანმიმდევრული, თუმცა რიგ საგნებთან მიმართებაში არ არის გათვალისწინებული და დარღვეულია წინაპირობების ჯაჭვი.

პროგრამის სტრუქტურასთან მიმართებით ექსპერტებს გვაქვს შემდეგი რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსებს „პრაქტიკა“ და „საბაკალავრო ნაშრომი“ წინაპირობად განსაზღვრული აქვთ „სპეციალობის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი“, შესაბამისად გამოდის, რომ ამ

კურსებისთვის მაგ. მესამე სემესტრის სავალდებულო კურსი ასევე არის უფრო მაღალი კურსის წინაპირობა. სასურველია რომ „პრაქტიკა“ და „საბაკალავრო ნაშრომი“ წინაპირობაში გაიწეროს კრედიტების რაოდენობა;

- პროგრამის ცოდნა და გაცნობიერების პირველ შედეგში აქცენტი კეთდება იმ სფეროებზე, რომლის ძირითადი საკითხების ცოდნაც ექნება კურსდამთავრებულს და ერთ-ერთი მათგანია „ინტერფეისები „ადამიანი-კომპიუტერი“. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი არის არჩევით საგანთა ნუსხაში. რადგან ამ სფეროს ცოდნა აუცილებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალობის სტუდენტისთვის და ეს აღნიშნულია დარგობრივ მახასიათებელშიც, **რეკომენდირებულია** სასწავლო კურსი „ადამიანურ-კომპიუტერული ინტერაქციები“ გადავიდეს ძირითად საგანთა ნუსხაში.
- ხუთ კრედიტიანი სასწავლო კურსი „ICT წიგნიერება“, რომლის ძირითადი თემატიკა მოიცავს საოფისე პროგრამების შესწავლას, არ არის რეკომენდირებული იყოს ძირითად სასწავლო კურსებში იმის გათვალისწინებითაც, რომ აღნიშნული საკითხების ცოდნას სტუდენტები სკოლებში იძენენ. **რეკომენდირებულია** აღნიშნული კურსი გადავიდეს არჩევით ბლოკში..
- მეორე სემესტრში შემოთავაზებულია სასწავლო კურსები „კომპიუტერის არქიტექტურა“ და „ოპერაციული სისტემები“. **რეკომენდირებულია** ეს სასწავლო კურსები ისწავლებოდეს სხვადასხვა სემესტრში და „ოპერაციული სისტემების“ სასწავლო კურსის წინაპირობა იყოს „კომპიუტერის არქიტექტურა“.
- სასწავლო კურსის „კომპიუტერული ქსელების“ წინაპირობად განისაზღვროს „კომპიუტერის არქიტექტურა“.
- სასწავლო კურსები „ვებ დიზაინის გრაფიკული საფუძვლები“ და „WEB აპლიკაციების დაპროგრამება“ ორივე ისწავლება მესამე სემესტრში. პირველი სასწავლო კურსის ერთ-ერთი მიზანია ვებ გვერდის დიზაინის შექმნა, რომელიც საჭიროა ვებ გვერდების პროგრამირებისას. **რეკომენდირებულია** „ვებ დიზაინის გრაფიკული საფუძვლები“ წინ უსწრებდეს „WEB აპლიკაციების დაპროგრამების“ სასწავლო კურსს.
- საქართველოში დღევანდელი დასაქმების პერსპექტივის მიხედვით, ასევე ამავე პროგრამის ფარგლებში შემოყვანილი ერთ-ერთი დამსაქმებლის (დამსაქმებლებთან ინტერვიუ) პერსპექტივიდან გამომდინარე **რეკომენდირებულია** სასწავლო კურსი „Back-End დეველოპმენტი (PHP)“ გადავიდეს სავალდებულო საგანთა ნუსხაში (მაგალითად, ICT წიგნიერების ნაცვლად).
- პროგრამის სილაბუსებიდან ჩანს, რელაციური ბაზების აგებასა და ადმინისტრირებას ორი სავალდებულო კურსი აქვს დათმობილი, რაც მისასაღმებელია, თუმცა სასარგებლო იქნებოდა NoSQL არარელაციული ბაზის მიმოხილვაც პროგრამის ფარგლებში. აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას დიდ მონაცემთა სისტემების კურსის სილაბუსის ავტორმა გვითხრა, რომ აღნიშნული კურსი მოიცავს NoSQL ბაზის განხილვას, თუმცა სილაბუსიდან არ ჩანს. **რეკომენდირებულია** არჩევითი საგნად დაემატოს NoSQL ბაზის სასწავლო კურსი, ან რომელიმე არსებულ რელევანტურ კურსში მოხდეს საკითხების ჩამატება.

- **სასურველია** პროგრამაში არჩევით ბლოკში დაემატოს ღრუბლოვანი ტექნოლოგიების სასწავლო კურსი.

პროგრამის შინაარსი შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, პროგრამის სტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას ზემოთხსენებული სტრუქტურული ცვლილებების გათვალისწინების შემდეგ. პროგრამაში სასწავლო კურსების შინაარსში ასახულია დარგის უახლესი მიდგომები და უცხოური პროგრამების გამოცდილება.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას პროგრამის ვებგვერდზე განთავსების საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და დამტკიცების წესი“
- „საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესი“
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის რუკა
- უსდ-ის თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- უსდ-ის ვებგვერდი

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია პროგრამაში გაიწეროს საბაკალავრო ნაშრომისთვის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა

რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „ადამიანურ-კომპიუტერული ინტერაქციები“ გადავიდეს ძირითად საგანთა ნუსხაში.

რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „ICT წიგნიერება“ გადავიდეს არჩევით ბლოკში.

რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „ოპერაციული სისტემები“ გადავიდეს მესამე სემესტრში და წინაპირობად განესაზღვროს „კომპიუტერის არქიტექტურა“.

რეკომენდირებულია სასწავლო კურსს „კომპიუტერული ქსელები“ წინაპირობად განესაზღვროს „კომპიუტერის არქიტექტურა“.

რეკომენდირებულია „ვებ დიზაინის გრაფიკული საფუძვლები“ წინ უსწრებდეს „WEB აპლიკაციების დაპროგრამების“ სასწავლო კურსს.

რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „Back-End დეველოპმენტი (PHP)“ გადავიდეს სავალდებულო საგანთა ნუსხაში.

რეკომენდირებულია არჩევითი საგნად დაემატოს NoSQL ბაზის სასწავლო კურსი, ან რომელიმე არსებულ რელევანტურ კურსში მოხდეს საკითხების ჩამატება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია პროგრამაში არჩევით ბლოკში დაემატოს ღრუბლოვანი ტექნოლოგიების სასწავლო კურსი

სასურველია „პრაქტიკა“ და „საბაკალავრო ნაშრომი“ წინაპირობად განესაზღვროს კრედიტების რაოდენობა;

სასურველია შეიქმნას ცალკე სილაბუსი საბაკალავრო ნაშრომის სასწავლო კურსისთვის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა გამოთვლილია მისი სპეციფიკის, თავისებურებებისა და შინაარსის გათვალისწინებით, არის ადეკვატური და შეესაბამება სწავლის შედეგებს. აგრეთვე, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა და მათი თანაფარდობა უმეტეს შემთხვევაში შესაბამისობაშია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს.

თუმცა სასწავლო კურსის „ვებ დიზაინის გრაფიკული საფუძვლები“ სილაბუსიდან ჩანს, რომ კურსში განხილულია Photoshop-ისა და Illustrator-ის სამომხმარებლო პროგრამების შესაძლებლობები. თუმცა ვინაიდან კურსი, დასახელებიდან გამომდინარე, ეხება ვებ

საიტებისა და აპლიკაციების დიზაინის შემუშავებას, გაცილებით სასარგებლო იქნება, თუნდაც Illustrator-თვის დათმობილი დროის შემცირების ხარჯზე, ვებდიზაინის შესრულებისთვის დღესდღეობით პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გამოყენებული ინსტრუმენტის განხილვის შემოტანა (მაგალითად, Figma, რომელიც უფასოა და საკმაოდ ეფექტური), მითუმეტეს, დამსაქმებლებთან შეხვედრაზე ერთ-ერთმა დამსაქმებელმა, რომელიც ვებ ტექნოლოგიების მიმართულების საქმიანობს, აღნიშნა, რომ ვებდიზაინის პროექტებში ინსტრუმენტად ისინიც Figma-ს იყენებენ.

ძირითადი სწავლის სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. ამასთან, სასწავლო კურსის სილაბუსით დეტალურად არის აღწერილი სტუდენტის შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. სილაბუსებში მითითებული ძირითადი სასწავლო მასალა მეტწილად დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე, შეესაბამება სილაბუსში განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

აღსანიშნავია, რომ სილაბუსების „კომპიუტერული ქსელები“, „კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება“ და „კომპიუტერულ-საკომუნიკაციო ქსელების ორგანიზება“ სასწავლო კვირების შინაარსი იდენტურია სხვა უნივერსიტეტის ამავე სახელწოდების სილაბუსების შინაარსის, სადაც ამ კურსების ლექტორი არის მოწვეული პროფესორი. ამ საგნების პროფესორის კვალიფიკაციასა და გამოცდილებაში ექსპერტებს ეჭვი არ შეგვაქვს, თუმცა სასურველია, თუ არ დაირღვევა სხვა კოლეგების ინტელექტუალური საკუთრების უფლება და აღნიშნული სილაბუსების თემატიკაში ლექტორი შეიტანს თავის ინდივიდუალიზმს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- კურიკულუმის რუკა
- ინტერვიუს შედეგები
- უსდ ვებგვერდი

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „ვებ დიზაინის გრაფიკული საფუძვლები“ შინაარსში დაემტოს ვებდიზაინის შესრულებისთვის დღესდღეობით პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გამოყენებული ინსტრუმენტის განხილვა (მაგალითად, Figma)

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია სასწავლო კურსების: „კომპიუტერული ქსელები“, „კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება“ და „კომპიუტერულ-საკომუნიკაციო ქსელების ორგანიზება“ სასწავლო კვირების შინაარსი არ იყოს იდენტური სხვა უნივერსიტეტის ამავე სახელწოდების სილაბუსების.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„ინფორმაციული ტექნოლოგიები“ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც გააჩნია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმატებით ჩააბარებს საქართველოს ერთიან ეროვნულ გამოცდებს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე. აგრეთვე იმ პირების ჩარიცხვა, რომელიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები, რეგულირდება საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანია, საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

უსდ-ს შემუშავებული აქვს „სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის დაგეგმვისა და სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“, სადაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და დაწესებულების რესურსებს. აღნიშნული უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო პროგრამა;
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ გვერდი (<http://www.ciu.edu.ge>)

რეკომენდაციები:

აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ ჩართვას სათანადო პროექტებში. სილაბუსებში გათვალისწინებულია ლაბორატორიული სამუშაოები და სემინარები. თითოეული კურსის აღწერა სტუდენტს აწვდის ინფორმაციას, თუ როგორ შეფასდება იგი.

სასწავლო კურსებში: „IT პროექტების მართვა“, „ჰიბრიდული მობილური აპლიკაციების დეველოპმენტი“ შეფასების ფორმაში მითითებულია ჯგუფური პროექტი, რომელსაც ასრულებს 3-5 სტუდენტი. პროექტის შეფასების კრიტერიუმებიდან ბუნდოვანია, თუ როგორ შეფასდება თითოეული სტუდენტი ინდივიდუალურად.

პროგრამის ფარგლებში სავალდებულო კომპონენტებს შორის გათვალისწინებულია პრაქტიკა 10 კრედიტის მოცულობით. პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტები VIII სემესტრის განმავლობაში იმყოფებიან პრაქტიკის ობიექტზე და წინასწარ განსაზღვრული პირობების მიხედვით ახორციელებენ მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ გარემოში ადაპტაციას, განვითარებას და განმტკიცებას.

სტუდენტთა პრაქტიკის ორგანიზების მიზნით უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან. აღსანიშნია, რომ უნივერსიტეტი აპირებს 100 ადგილის გამოცხადებას, თუმცა გასაუბრებაზე ითქვა, რომ 40 სტუდენტზე მეტს არ ელოდებიან. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმებიდან იკვეთება, რომ იქ გათვალისწინებულია 45 ადგილი. შესაბამისად, სასურველია უნივერსიტეტმა გააღრმავოს ამ მიმართულებით თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან.

კვლევითი უნარების განვითარებისათვის პროგრამის ფარგლებში სავალდებულო კომპონენტებს შორის, VIII სემესტრში გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომი 10 კრედიტის მოცულობით.

სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ინტერესების მიხედვით მონაწილეობა მიიღონ სტუდენტთა დასაქმების ფორუმებში და სხვადასხვა კონკურსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

სასწავლო კურსებში: „IT პროექტების მართვა“, „ჰიბრიდული მობილური აპლიკაციების დეველოპმენტი“ ჯგუფური პროექტის შეფასების კრიტერიუმები გახდეს მეტად გამჭვირვალე;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია უნივერსიტეტმა გააღრმავოს მუშაობა პრაქტიკის ობიექტებთან თანამშრომლობის კუთხით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სწავლება-სწავლის მეთოდებს ირჩევს ლექტორი თავისი პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე. მათი მიზანია მაქსიმალურად ჩაერთოს სტუდენტი დაგეგმილ აქტივობებში. შესაბამისად სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის განხორციელების პროცესში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდები და აქტივობები, როგორცაა ლექცია, სემინარი, ზეპირსიტყვიერი და წერიტი მეთოდები, ლაბორატორიული და პრაქტიკული მეთოდები, დისკუსია და ჯგუფური მუშაობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო პროგრამა;
- სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, არის გამჭვირვალე, ხელმისაწვდომი და კანონმდებლობასთან შესაბამისი. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა განსაზღვრულია პროგრამაში. ამასთან, სტუდენტებს შეუძლიათ შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია იხილონ თითოეული კურსის სილაბუსში.

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების 100 ქულიანი სისტემა, რომელიც მოიცავს ორ ძირითად კომპონენტს შუალედური შეფასება (მაქსიმუმ 60 ქულა) და დასკვნითი გამოცდა (მაქსიმუმ 40 ქულა). შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. თითოეულ საგანში შუალედური გამოცდა ტარდება სემესტრში ერთხელ, რომლის შუალედური შეფასებების ჯამურ 60 ქულაში 20- დან 30 ქულამდე მერყეობს. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება სტუდენტს ეძლევა შუალედურ შეფასების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის (25 ქულა) გადალახვის შემთხვევაში. დასკვნით გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 16 ქულაა.

სტუდენტები, როგორც შუალედურ, ასევე დასკვნითი გამოცდის შეფასების შედეგებს ეცნობიან უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში, „გონი“. სტუდენტები სემესტრის განმავლობაში ინფორმირებულები არიან მიმდინარე შეფასებების შესახებ და შესაბამისად აქვთ შესაძლებლობა გააუმჯობესონ შედეგები, განსაზღვრონ გასაუმჯობესებელი მხარეები.

სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სწავლის შედეგების შეფასებას უფლებამოსილია შედეგები გაასაჩივროს. გასაჩივრების პროცესი წინასწარ განსაზღვრულია და ცნობილია სტუდენტებისთვის. მათ შეუძლიათ უნივერსიტეტის ელექტრონულ ფოსტაზე გააგზავნონ ინფორმაცია მათთვის მიუღებელი შეფასების შესახებ და მოხდება ნაშრომის გადახედვა ან თავიდან გასწორება, რაც დამოკიდებულია სტუდენტის არჩევანზე.

ვინაიდან, წარმოდგენილი პროგრამა ახალია, არ არსებობს რეალური მონაცემები შეფასების შედეგების და მათი გამოყენების შესახებ სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მხრივ. თუმცა, უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ასევე, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუებისა და წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით სტუდენტთა შეფასების სისტემა პასუხობს სტანდარტის მოთხოვნებს.

მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგად დადასტურდა უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით შემუშავებული მექანიზმების ქმედითობა. აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები ცალსახად აღნიშნავენ სასწავლო კურსების ხელმძღვანელების ობიექტურობას მათი შეფასებების კონტექსტში. სტუდენტს, მიუხედავად უნივერსიტეტში არსებული შეფასების გასაჩივრების მექანიზმებისა, აქვს შესაძლებლობა ლექტორთან ერთად განიხილოს დაშვებული შეცდომები, როგორც სააუდიტორო შეხვედრის დროს, ისე მის გარეთ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი სააუდიტორო შეხვედრისას სტუდენტთა საგამოცდო ნაშრომების განხილვის შემთხვევაში ითვალისწინებენ სტუდენტის კონფიდენციალურობის უფლებას და ზოგად კონტექსტში მსჯელობენ სტუდენტის მიერ დაშვებულ შეცდომებთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსებით;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა, ბმული : <https://goni.ciu.edu.ge/ge/>;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და უნივერსიტეტში მიმდინარე სიახლეების შესახებ სტუდენტები ინფორმაციას იღებენ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციისგან, ვებ-გვერდისა (<https://ciu.edu.ge/>) და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა ელექტრონული სერვისების დახმარებით.

სწავლის შედეგების გაუმჯობესებისა და სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის მიზნით, აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია კონსულტაციების სისტემა. სემესტრის დასაწყისში პროფესორი ადგენს საკონსულტაციო საათების განრიგს, რომლის მიხედვითაც სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ კონსულტაცია, რაც დასტურდება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებით. საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში.

პირველკურსელთათვის იმართება საინფორმაციო სახის შეხვედრები, სადაც სტუდენტებს აწვდიან ინფორმაციას სწავლებასთან და სხვა აქტივობებთან დაკავშირებით. ყოველ ოთხშაბათს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ეწყობა შეხვედრები ბიბლიოთეკაში არსებულ რესურსებთან და მათ გამოყენებასთან დაკავშირებით. ასევე, თითოეული სტუდენტისთვის იქმნება ელექტრონული ფოსტა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის შეფასების ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციისთვის. აღნიშნული ელექტრონული ფოსტის დახმარებით სტუდენტები იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტში მიმდინარე სიახლეების, არსებული ვაკანსიებისა და ადგილობრივი თუ გაცვლითი პროექტებისა და პროგრამების შესახებ. ინტერვიუების დროს რამდენიმე სტუდენტმა აღნიშნა, რომ მიუღია მონაწილეობა

გაცვლით პროგრამაში, ან მომავალში აპირებს, მათ შორის პრაქტიკის გავლის შესაძლებლობითაც. ასევე, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კოორდინატორის თქმით, მიმდინარეობს მოლაპარაკებები იმ უნივერსიტეტებთან, რომლებთანაც კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს უკვე აქვს მემორანდუმი, აღნიშნული პროგრამის მხრივ გაცვლითი პროგრამების დამატების კუთხით. საერთაშორისო ურთიერთობებისა და უნივერსიტეტში მიმდინარე სიახლეების შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მოგეხსენებათ, პროგრამა ახალია და შესაბამისად არ ჰყავს სტუდენტები და კურსდამთავრებულები. ამიტომ, ინტერვიუები ჩატარდა უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. როგორც მათ აღნიშნეს, ისინი იღებენ ყველა საჭირო ინფორმაციას სასწავლო პროცესებთან და აქტივობებთან დაკავშირებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ სტუდენტების ინფორმირებულობის დონე საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების და მათი გამოყენების შესახებ დაბალია.

დასაქმებასთან დაკავშირებით ინფორმაციასაც სტუდენტები იღებენ ზემოთ ხსენებული ელექტრონული ფოსტის საშუალებით, მათ შორის უნივერსიტეტში არსებული სტაჟირებებისა და ვაკანტური პოზიციების შესახებ, ასევე, ეწყობა დასაქმების ფორუმები, რომელზეც სტუდენტებს აქვს შესაძლებლობა შეხვდნენ დამსაქმებლებს. ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ რამდენიმე სტუდენტს გავლილი აქვს სტაჟირება უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში. აღსანიშნავია, რომ ელექტრონული ფოსტა უნივერსიტეტის დასრულების შემდგომაც რჩება აქტიური და კურსდამთავრებულებს ეგზავნებათ ინფორმაცია სიახლეების და ვაკანტური პოზიციების შესახებ. რამდენიმე კურსდამთავრებულმა აღნიშნა, რომ სწორედ უნივერსიტეტის დახმარებით გაიგო იმ ვაკანტური პოზიციის შესახებ, რომელზეც ამჟამად არის დასაქმებული.

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგების, ასევე 2016 - 2022 წლებში ჩატარებული ღონისძიებების, საერთაშორისო მემორანდუმებისა და ინტერვიუების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებ- გვერდი (<https://ciu.edu.ge/>);
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- თვითშეფასების ანგარიში;
- 2016-2022 წელს ჩატარებული ღონისძიებები;
- საერთაშორისო მემორანდუმები;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების ახალ პროგრამაში დაგეგმილია 23 აკადემიური და 3 მოწვეული პერსონალის ჩართვა, მათ შორის ერთი აფილირებული პროფესორი გახლავთ პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ასევე ჩართულია 7 აფილირებული ასოცირებული პროფესორი და ერთი აფილირებული ასისტენტ პროფესორი. პროგრამაში მოწვეული სამივე პერსონალი არის არადაარგობრივი საგნების მიმართულებით.

პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში, ერთი მათგანი გაუძღვება 4 სასწავლო კურსს, ხოლო მეორე - 5 სასწავლო კურსს. მათი კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი განათლებით და შრომებით ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში. პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელის რეზიუმეში ასახულია, რომ იგი იმავდროულად სხვა 3 უმაღლეს სასწავლებელში არის ასოცირებული პროფესორი.

პროგრამის ხელმძღვანელებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მუდმივად მიიღებენ მონაწილეობას და იზრუნებენ პროგრამის შეფასება-განვითარებაზე.

პროგრამის განმახორციელებლების შერჩევის მიზნით, უნივერსიტეტში 2022 წლის შემოდგომაზე ჩატარებული კონკურსის შედეგის შესაბამის რექტორის ბრძანებაში ასახულია ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლის სფეროში აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად დანიშნული 15 კონკურსანტის ვინაობა. მათი რეზიუმეების მიხედვით ვიგებთ, რომ უმეტესობა იკავებს აკადემიურ თანამდებობებს სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც, სადაც იმავე კურსების წაკითხვის გამოცდილება არის აღნიშნული,

ზოგიერთი მათგანი დაკავებულია 3-ზე მეტ სხვა უმაღლეს სასწავლებელში და აღნიშნულ პროგრამაში უძღვებიან ოთხ ან მეტ სასწავლო კურსებს. ასევე აღსანიშნავია, რომ სამი აკადემიური პერსონალი სხვა უნივერსიტეტში არის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე.

თვითშეფასების ანგარიშის რაოდენობრივი მაჩვენებლების დანართში დეტალურადაა მითითებული, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობაა 43, ხოლო საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომებისა - 72, ასევე ადგილობრივ კონფერენციებში გატანილი მოხსენებების რაოდენობაა 5, ხოლო საერთაშორისო კონფერენციებზე - 83. უსდ-ს განმარტებით, იმის გამო, რომ წარმოდგენილი პროგრამა ახალია, არ არის წარმოდგენილი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ და პროგრამის ხელმძღვანელმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ გეგმავენ წარჩინებული სტუდენტების მაქსიმალურ ხელშეწყობას და წახალისებას მათი ამავე უნივერსიტეტში დასაქმების მიზნით.

ვინაიდან პროგრამა ახალია, პერსონალის დენადობის ანალიზი ამ ეტაპზე არ არის შესაძლებელი.

ხელმძღვანელობასთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ წელს გამოცხადებულია 100 ადგილი, თუმცა რადგან პროგრამა ახალია მოლოდინი აქვთ 40 სტუდენტის მიღებისა. სტუდენტთა ამ რაოდენობის (40 სტუდენტის შემთხვევაში) სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა პროგრამაში გათვალისწინებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სრულიად შესაძლებელია. სტუდენტების რაოდენობის გაზრდასთან ერთად ხელმძღვანელობამ გამოთქვა სრული მზადყოფნა გაზარდოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, გამართული და შეუფერხებელი სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან ამ პროგრამის განვითარება და საჭიროებისამებრ დახვეწა არის მათი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი.

უნივერსიტეტს უკვე აქვს საინტერესო გამოცდილება ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამის განხორციელების კუთხით, როდესაც პირველ წლებში მცირე რაოდენობის სტუდენტების ნაკადისთვისაც მათ მოახდინეს ხარისხიანი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა, რის შემდეგაც მომდევნო წლებში სტუდენტების ნაკადი მნიშვნელოვნად გაიზარდა, და ამ შემთხვევაშიც სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია.

სათანადო რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი დიდი მონდომებით ეკიდება და ჩართულია პროგრამის განხორციელებასა და სტუდენტთა მომსახურების საკითხებში, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიური მონაწილეობა, რაც ვიზიტის დროს გასაუბრების პროცესშიც მკაფიოდ გამოიკვეთა.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁶	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
---	---	---	------------------------------------	--

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

			დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁷	
სულ აკადემიური პერსონალი	20	16	15	9
- პროფესორი	7	6	5	1
- ასოცირებული პროფესორი	12	9	9	7
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	3	0	0	-
სამეცნიერო პერსონალი				-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რეზიუმეები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები;
- კონკურსის შედეგების ბრძანება #02-406
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საქართველოში საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულების ახალი აკადემიური პერსონალის მოზიდვა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისათვის.

აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის რეზიუმეებიდან იკვეთება, რომ ბევრი მათგანი სხვა 3 ან მეტ უმაღლეს დაწესებულებებში იკავებს აკადემიური თანამდებობებს და უძღვება 2 ან მეტ კურსს, თუმცა ეს შეიძლება ბუნებრივი იყოს, ვინაიდან პროგრამა ახალია. სამომავლოდ პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად სასურველია პერსონალის დაინტერესება იმგვარად, რომ იმ პროფესორებმა მაინც, ვინც ამ პროგრამაში 3 ან მეტ დარგობრივ კურსს გაუძღვება, სხვა უსდ-ებში შეამცირონ დატვირთვები შემდგომისდაგვარად.

ამასთან მიმართებაში ასევე სასურველია პროგრამის აკრედიტაციის პირობებში გარკვეული ვადის შემდეგ გადამოწმდეს რამდენად უზრუნველყოფს აკადემიური/მოწვეული პერსონალი გაუწიონ მომსახურება სტუდენტების მზარდ რაოდენობას.

შეფასება

⁷ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			-
სამეცნიერო პერსონალი			-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია



4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გამომდინარე იქედან, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების პროგრამა ახალია, ჯერჯერობით არ არსებობს კონკრეტულად მისი განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების კუთხით კონკრეტული შედეგის გამომსახველი რაოდენობრივი მაჩვენებლები, თუმცა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს აქვს ჩამოყალიბებული შეთავაზებები და პრაქტიკაში გატარებული გამოცდილება უკვე მოქმედი პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან მიმართებით.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს აკადემიური პერსონალის განვითარებისა და მათი კვლევების ხელშესაწყობად ჩამოყალიბებული აქვს სხვადასხვა შეთავაზებები, რომელიც მითითებულია თვითშეფასების ანგარიშშიც და ადმინისტრაციასთან შეხვედრის პროცესში ხაზგასმით აღინიშნა.

პირველ რიგში დონორი ორგანიზაციებიდან სამეცნიერო პროექტებისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების დაფინანსების მოპოვებით დაინტერესებულ პერსონალისთვის სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტი ატარებს ტრენინგებსა და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურ კონსულტაციებსაც, ასევე უზრუნველყოფს აფილირებული პერსონალის, მეცნიერ-თანამშრომლებისა და ახალგაზრდა მეცნიერების მიერ დონორ ორგანიზაციებში საპროექტო განაცხადების წარდგენის თანადაფინანსებას.

უნივერსიტეტი აფილირებულ აკადემიურ პერსონალს სთავაზობს სრულ დაფინანსებას, ასევე ახალგაზრდა მკვლევარების სამეცნიერო სტატიების იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნების ხარჯების დაფარვას.

უნივერსიტეტში მოქმედ პროგრამებში უკვე მოზიდულია რამდენიმე გრანტი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან, ადმინისტრაციასთან შეხვედრისას აღინიშნეს, რომ მიმდინარეობს აქტიური მზადება უცხოური გრანტების მოსაძიებლად საჭირო ღონისძიებების გასატარებლად, რომელთა მხარდაჭერაც ასევე პრიორიტეტული საკითხია .

უნივერსიტეტს 10-ზე მეტი აკადემიური და საგანმანათლებლო თანამშრომლობის საერთაშორისო მემორანდუმი აქვს გაფორმებული უმეტესად ევროპის სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს საკმაოდ დეტალურად აქვს ჩამოყალიბებული და გაწერილი აკადემიური პერსონალის შეფასების პროცედურა, რომელსაც სემესტრულად ჩატარებული სტუდენტების გამოკითხვების, ლექციებზე დასწრებისა და სწავლის შედეგების ანალიზით ახორციელებს. შეფასების პროცედურა დეტალურადაა აღწერილი თვითშეფასების ანგარიშში.

აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიშში დეტალურადაა მოცემული პერსონალის წახალისებისა და განვითარების პროცესის გაუმჯობესების მიზნით ჩამოყალიბებული საკითხების ჩამონათვალი, რაც ადმინისტრაციის მიერ ამ მიმართულებით საქმიანობის სურვილსა და მზადყოფნაზე მეტყველებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამეცნიერო აქტივობების დაფინანსების წესი;
- აკადემიური აქტივობების დაფინანსების წესი;
- პერსონალის განვითარების საჭიროებისა და კმაყოფ. კვლევის შედეგები
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ზოგადად აღჭურვილია ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამის (და ზოგადად სასწავლო პროცესის) განხორციელებისთვის საჭირო ტექნიკური და მატერიალური რესურსებით, კეთილმოწყობილი სასწავლო აუდიტორიებით. აუდიტორიები განკუთვნილია როგორც მცირე (20-25 კომპიუტერით), ისე დიდ ჯგუფებთან (60 კომპიუტერი) მუშაობისთვის.

ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ გასული წლის ბოლოს საინფორმაციო ტექნოლოგიების პროგრამის კომპიუტერული უზრუნველყოფის გაძლიერების მიზნით საგანგებოდ განახორციელეს დამატებით თანამედროვე 55 ახალი კომპიუტერის შეძენა.

ვიზიტისას ადგილზე დავათვალიერეთ 6 კომპიუტერული კლასი, კომპიუტერების ლაბორატორია, მულტიმედია ცენტრი და თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ახალი ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზებით, საბიბლიოთეკო ფონდებთან მკითხველის თავისუფალი დაშვებით, იზოლირებული შეხვედრების ოთახებით, საკონფერენციო ოთახით და ბიბლიოთეკარების სამუშაო სივრცით. გავესაუბრეთ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელსა და ბიბლიოთეკარს.

ბიბლიოთეკაში არსებული ბეჭდურ და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი მოიცავს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების განხორციელებისათვის საჭირო მასალებს. უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი ასახულია სერვერზე ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემაში, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებსაიტიდან. ბიბლიოთეკაში ვიზიტისას პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსებიდან შემთხვევითად შერჩეული 3 სხვადასხვა დასახელების სახელმძღვანელოს გადამოწმებისას, სამივე წარმატებით მოიძებნა ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბაზაში.

უნივერსიტეტს შექმნილი აქვს სასწავლო პროცესის სამართავი სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა „გონი“, რომლის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე მუდმივად ზრუნავს შიდა პერსონალით ფორმირებული გუნდით. ვიზიტისას პროგრამის ხელმძღვანელმა დაგვათვალიერებინა აღნიშნული სისტემაში ადმინისტრატორისა და სტუდენტის შესაბამისი ინტერფეისები.

აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული ტექნოლოგიების სხვადასხვა სფეროში საქმიანობის განმახორციელებელ (ვებ ტექნოლოგიები, ქსელები, ინფორმაციის უსაფრთხოება) ორგანიზაციასთან, რომელთა წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ამ პროგრამის სტუდენტებს მიეცემათ მათი ინტერესის შესაბამისად არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ვიზიტისას
- მემორანდუმები დამსაქმებლებთან
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილია ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის ბიუჯეტი. დოკუმენტაციაში ასევე წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტიც, რომელიც არ არის შევსებული. გასაუბრებისას ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ყოველი წლის დასაწყისში ადგენენ ბიუჯეტს და შესაბამისად რადგან პროგრამა არ ხორციელდება სრულად არ მოხდა ბიუჯეტის გაწერა. ექსპერტების მხრიდან მოხდა 2023 წლის პროგრამის ბიუჯეტის გამოთხოვა.

საბაკალავრო პროგრამის შემოსავლები ეყრდნობა სტუდენტთა გადასახადებს. აღნიშნული ბიუჯეტი გათვლილია 40 სტუდენტზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ნაკლები სტუდენტის მოსვლის შემთხვევაშიც კი უსდ მზადაა განახორციელოს აღნიშნული პროგრამა უნივერსიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით.

ხარჯვითი ნაწილი მოიცავს სხვადასხვა ხარჯვით კატეგორიებს (აკადემიური / მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება, საბიბლიოთეკო ფონდის შევსება / რესურსებზე წვდომა, პერსონალის კვლევებისა და განვითარების ხარჯი, საკანცელარიო/საოფისე ხარჯი და სხვ.).

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უმეტესი პუნქტებისა შევსებული არ არის, რის შესახებაც უსდ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლების განმარტებით, აღნიშნული ხარჯვითი ნაწილი გაწერილია უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ბიუჯეტში. ჩატარებული ინტერვიუები ცხადყოფს, უსდ უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი
- ფაკულტეტის ბიუჯეტი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც კოორდინაციას უწევს და ხელმძღვანელობს ორგანიზაციაში ხარისხის კულტურის დამკვიდრებასა და განვითარებას. უფლებამოსილების ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონიტორინგს უწევს საგანმანათლებლო პროგრამების

მიმდინარეობას, აფასებს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების საკითხებს, უზრუნველყოფს აკადემიური და კვლევით აქტივობების ხარისხის. პროცესში სამსახური ხელმძღვანელობს სათანადო მარეგულირებელი დოკუმენტაციით.

რადგან წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, დასკვნის აღნიშნულ ნაწილში განვიხილავთ მომიჯნავე პროგრამებთან დაკავშირებული გამოცდილებას ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან მიმართებით, ასევე პერსონალის ჩართულობის კომპონენტს პროგრამის შემუშავების პროცესში.

დოკუმენტაციის ანალიზისა და ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობს PDCA - პრინციპებით. აღნიშნული ახალი პროგრამის შემუშავების პროცესში გულისხმობს სათანადო გამოკითხვებისა და კვლევების ჩატარებას პროგრამის აქტუალობისა და ბაზრის მოთხოვნების შესასწავლად, მეთოდოლოგიურ ნაწილში კი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან მუშაობას კრედიტების განაწილების, სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევისა და შეფასების მექანიზმების დახვეწის კუთხით. მარეგულირებელი დოკუმენტაციის მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე განიხილავს ახალ პროგრამას აკადემიურ საბჭომდე წარსადგენად, ამოწმებს მის შესაბამისობას კანონმდებლობასთან და გადასცემს აკადემიურ საბჭოს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს გამოკითხვის მრავალფეროვანი ფორმები სტუდენტების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის. ინტერვიუებზე დადასტურდა, რომ სტუდენტები მონაწილეობენ გამოკითხვებში, რომელიც სავალდებულო ხასიათს ატარებს ასევე დამსაქმებლის მხრიდან აღინიშნა კონკრეტული მაგალითები, რომელიც ადასტურებდა მათ ჩართულობას პროგრამის შემუშავების პროცესში. ასევე დადასტურდა აკადემიური პერსონალის ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში.

უკვე არსებული პროგრამების პრაქტიკებზე დაკვირვებით დგინდება, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის შემდგომი სრულყოფის მიზნით, ხოლო რეკომენდაციები ეფუძნება გამოკითხვებისა და მონიტორინგის შედეგებს, რომელსაც აღნიშნული სამსახური ახორციელებს თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით.

დოკუმენტაციის შესწავლა და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები იძლევა იმის საფუძველს, რომ დადასტურდეს პროგრამაში ჩართული პერსონალის თანამშრომლობა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.

- **მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ეფექტიანობის მართვა“;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმები ;

- პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიშები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გარე შეფასების მექანიზმად დაწესებულებაში აღქმულია დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის შეფასება და ასევე ავტორიზაცია/აკრედიტაცია. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, აკრედიტაციის ვიზიტის დროს მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებულია პროგრამების განვითარების პროცესში.

კონკრეტულად აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით წარმოდგენილია მსგავსი პროგრამების ანალოგებთან დადარების დოკუმენტი, ასევე ექსპერტული შეფასება გარე ექსპერტის - ტარას შევჩენკოს კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეცნიერებისა და კიბერნეტიკის ფაკულტეტის, სისტემური ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების თეორიის დეპარტამენტის უფროსის მიერ. დოკუმენტის წარმოადგენს ზოგად შეფასებას და პროგრამა შეფასებულია დადებითად (თეორიული და პრაქტიკული ნაწილები, სავალდებულო და არჩევითი კურსები, ტრანსფერული უნარები, დასაქმების პერსპექტივა).

ვიზიტის დროს ასევე აღინიშნა, რომ პროგრამა შეფასდა ადგილობრივი ექსპერტის მიერ, გაიცა ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციები, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა პროგრამაზე მუშაობის პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის გარე ექსპერტთა შეფასებები;
- ინტერვიუს შედეგები;
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ეფექტიანობის მართვა“;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტაცია ითვალისწინებს პროგრამის პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას. აღნიშნულს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მონაცემებს აგროვებს ინდიკატორებით:

- სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, შეფასებას;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამის შეფასებას;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვას;

- პოტენციურ და რეალურ დამსაქმებელთა გამოკითხვას;
- დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ პროგრამის შეფასება.

ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ახდენს მონაცემების ანალიზს და შემდგომი რეაგირების მიზნით მიმართავს სათანადო ღონისძიებებს. პროგრამის ხელმძღვანელი კი თავის მხრივ საჭიროებებსა და გასაუმჯობესებელ მხარეებს წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე ჩართულია სწავლების მონიტორინგის ნაწილში, რისთვისაც გარკვეული პერიოდულობით ესწრება ლექციებს და ატარებს მოწვეული და აკადემიური პერსონალის შეფასებას. ორგანიზაციულ საკითხებთან ერთად (რეგისტრაციის გავლა, მეცადინეობის დროული დაწყება, სხვ.), მოწმდება პროფესორის შესაბამისი უნარები გადმოსცეს სილაბუსით გათვალისწინებული საკითხები სტუდენტებისათვის შესაბამისი მეთოდოლოგიით. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ პროცესი ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებისთვის, გამჭვირვალეა და გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამისათვის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებული იქნა გერმანულ ექსპერტთან მუშაობის გამოცდილება.

ასევე დადასტურდა აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის მეთოდოლოგიური ტრენინგების ჩატარების პრაქტიკა, რომელიც პროგრამის გაუმჯობესების მიზნებს ემსახურება.

დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუების შედეგების შეჯამების შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით, და მათი შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

აღნიშნულ ქვესტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ინფორმაციული ტექნოლოგიები, ბაკალავრიატი

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტანდარტები				
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნანი არაბული



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა


მიხეილ რუხაია

სახელი, გვარი, ხელმოწერა



მარიამ ზანგალაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა



თამთა კობახიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ეკა ავსაჯანიშვილი

